საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS
აპრილი - ივნისი 2020
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სოფელ ძველ ანაგაში სამელიორაციო არხები იწმინდება

1 აპრილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. სოფელ ძველ ანაგაში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებლის მიმდებარედ არსებული დამშრობი არხები (საერთო სიგრძით 2,9 კმ) იწმინდება.

არხების მოწესრიგება მუნიციპალიტეტში 120 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურებასთან ერთად, 80 ჰექტარ სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

დამშრობ არხებზე მიმდინარე ღონისძიებები კომპანიამ საკუთარი ძალებით მარტში დაიწყო და აპრილის ბოლოს დასრულდება.

დღეისათვის კახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 13 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

სოფელ კურდღელაურში სარწყავი არხი იწმინდება

3 აპრილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ფართობების გაზრდის მიზნით, სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.



კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ კურდღელაურში, ნატანი მასისგან და შლამისგან, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, მაგისტრალური არხის 2900 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც მუნიციპალიტეტში 500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმს გაუმჯობესებს.

დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 37 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

საბერიკაცოს მასივის მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

8 აპრილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში დამშრობ სისტემას რეაბილიტაცია უტარდება.

ამჯერად სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები საბერიკაცოს მასივზე მიმდინარეობს. ხე-მცენარეებისაგან და ნატანი მასისგან არხის 2600 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც მუნიციპალიტეტში 40 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურებას აღადგენს.

აღდგენილი სისტემით დაახლოებით 150 ბენეფიციარი ისარგებლებს.

მარნეულში სარწყავი არხები აქტიურად იწმინდება

15 აპრილი



შპს „საქართველოს მელიორაცია" სარწყავი და სადრენაჟე სისტემების სარეაბილიტაციო პროექტებს უსაფრთხოების წესის დაცვით, შეუფერხებლად ახორციელებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ექსპლუატაციის პროგრამით სამუშაოები რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს.

სოფელ კაჩაგანში ხე-მცენარეებისაგან „გამარჯვების არხის" 6 000 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები სოფელ კაჩაგანის, კასუმლოსა და აღმამედლოს 1000 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს წყლის მიწოდების რეჟიმს.

სოფელ ბაილარის, საიმერლოსა და ქუტლიარის სავარგულების წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, სოფელ საიმერლოში „აღმაშენებლის არხის" 4 კმ-იანი მონაკვეთი იწმინდება. ამავე სისტემის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ქუტლიარშიც. ნატანი მასისგან და ბუჩქნარისგან არხის 5000 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

„აღმაშენებლის არხზე" ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც ჯამში 1100 ჰექტარ სავარგულზე გააუმჯობესებს სარწყავი წყლის მიწოდებას.

აღდგენითი სამუშაოები უტარდება ასევე, ქეშალოს სატუმბი სადგურის სარწყავ სისტემას სიგრძით 1500 მეტრი, რომელიც 2 ათეული წელია არ ჩატარებულა.
არხის მოწესრიგების შედეგად დამატებით 40 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

ტირიფონის მაგისტრალურ არხზე მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

23 აპრილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

შიდა ქართლში წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, სარწყავ სისტემებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

ნატანი მასისა და შლამისგან მეჯვრისხევი-ბარშუეთის მონაკვეთზე ტირიფონის მაგისტრალური არხი იწმენდება.

ექსპლუატაციის პროგრამით გატარებული ღონისძიებები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 1200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს.

აღნიშნული სამუშაოები, ასევე, ნადარბაზევის წყალსაცავის დროულად შევსებას შეუწყობს ხელს.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის - მეჯვრისხევის, ზერტის, კირბალის, კვარხეთის, ხელთუბნის, ბერშუეთის, ზემო სობისისა და ხურვალეთის მოსახლეობა ისარგებლებს.

დღეისათვის შიდა ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 7 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

სამელიორაციო სამუშაოები სოფელ ასურეთში

5 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რეგიონებში სარეაბილიტაციო-ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეუფერხებლად ახორციელებს.

ამჯერად სამელიორაციო სამუშაოები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. სოფელ ასურეთში გამავალი მაგისტრალური სისტემა, სადაც ამ დროისთვის 1420 მმ-იანი ქსელი იცვლება, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის კვებას უზრუნველყოფს.
წყალსადენის სარემონტო სამუშაოების დროს შეიცვლება ორძაფიანი დაზიანებული დიუკერის მილსადენის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს წყალმომარაგების საიმედოობას, საგრძნობლად შეამცირებს დანაკარგებს. შედეგად, 600 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმი.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს, დასრულების ეტაპზეა.

ზრუნვა სოფელზე

12 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2012-2019 წლებში წარმოიქმნა, სრულად ჩამოეწერება 42 000 ფერმერს. აღნიშნული დავალიანება ფერმერებს ჩამოეწერებათ ავტომატურად.

42 ათასზე მეტი ფერმერი 2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდება, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს და ჯამში 5 მილიონ ლარს შეადგენს.

დახმარება განკუთვნილია ყველა ფერმერისთვის, ვინც სარგებლობს ირიგაციის და დრენაჟის მომსახურებით10 ჰექტარამდე მიწის ფართობზე (აღმოსავლეთ საქართველოში - ირიგაციის საფასური 1 ჰექტარზე 75 ლარი, დასავლეთ საქართველოში - ირიგაციის საფასური 1 ჰექტარზე 45 ლარი, დრენაჟის - 40 ლარი).

10 ჰექტარზე მეტი სავარგულის შემთხვევაში, მფლობელი გადაიხდის მხოლოდ სხვაობის საფასურს.

აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა გააფორმოს განაცხადი სამელიორაციო მომსახურებაზე, სადაც იქნება გაწერილი რამდენი ჰექტარი მიწა აქვს და რა პერიოდში (თვეების და თარიღების მითითებით) ესაჭიროება მომსახურება.

2020 წელს

42 ათასი ფერმერი 10 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთების სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან სრულად თავისუფლდება



ცხელი ხაზი 1501

სრულად ჩამოიწერება 2012-2019 წლების დავალიანება 8 მლნ ლარი

სოფელ ქვახვრელში დოეს-გრაკალის სარწყავი არხი გაიწმინდა

4 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ფართობების გაზრდის მიზნით, სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს.

შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, დოეს-გრაკალის სარწყავი სისტემის აღდგენითი სამუშაოები დასრულდა.

სოფელ ქვახვრელში ხე-მცენარეებისა და ბუჩქნარისაგან არხის 1000 მეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

ექსპლუატაციის პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზარდა, რაც სოფელ ქვახვრელის, უფლისციხის, დოესისა და გრაკალის დამატებით 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს, ხოლო 400 ჰექტარზე მეტ მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს.

დოეს-გრაკალის სარწყავი არხის აღდგენითი სამუშაოები საქართველოს მელიორაციამ საკუთარი ძალებით განახორციელა.

დოეს-გრაკალის სარწყავი სისტემა წყალს მდინარე მტკვარზე მოწყობილი სათავე-ნაგებობიდან იღებს.

თიქორი-ენგურის დამშრობ მასივზე მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

20 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სადრენაჟო და საირიგაციო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ახორციელებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, ჭარბი წყლის მოცილების მიზნით, თიქორი-ენგურის დამშრობ მასივზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.
ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან საერთო სიგრძით 2 500 მეტრამდე კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

სამელიორაციო ღონისძიებები 32 ჰექტარ მიწის ფართობზე მიმდინარეობს.
სამუშაოების შედეგად, უხვი ნალექის შემთხვევაში, დამშრობი მასივის მიმდებარე სასოფლო -სამეურნეო მიწის ფართობები არ დაიტბორება.

შეხვედრა ქვემო ქართლის აღმილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან

24 ივნისი

სარწყავი სეზონის მიმდინარეობასა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ და მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა, შოთა რეხვიაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა სარწყავი ინფრასტრუქტურა სეზონს მომზადებული შეხვდა და მხარეში რწყვის სეზონი დადგენილი გრაფიკით მიმდინარეობს.
ძირითად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს წყალი შეუფერხებლად მიეწოდება. თუმცა, არის ლოკალური შემთხვევები, როდესაც ავარიული გამორთვის შედეგად, წყლის მიწოდება დროებით იზღუდება, რაც მელიორაცის სამსახურის მყისიერი რეაგირების საგანი ხდება.
2020 წელს ქვემო ქართლში კომპანიამ სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოები 2021 წელსაც აქტიურად გაგრძელდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის რეგიონში წყალუზრუნველყოფილი ფართობების რაოდენობას.

შეხვედრაზე აგრეთვე ისაუბრეს მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაზე, რომელიც სოფლის მეურნეობაში, კერძოდ კი მელიორაციაში დახმარების მნიშვნელოვან პაკეტს მოიცავს.

საქართველოში, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2020 წლამდე წარმოიქმნა, სრულად ჩამოეწერება 42 000-მდე ფერმერს.

42 ათასზე მეტი ფერმერი 2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდება, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს.

დახმარება განკუთვნილია ყველა ფერმერისთვის, ვინც სარგებლობს ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებით10 ჰექტარამდე მიწის ფართობზე.

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მუნიციპალიტეტების მერები და საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრა მელიორაციის საკითხებთან დაკავშირებით

25 ივნისი

საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ და კახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი ქადაგიშვილმა, რეგიონში სარწყავი სეზონის მიმდინარეობასა და ადგილზე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე განიხილეს სამელიორაციო სისტემებზე - მაგისტრალურ და გამანაწილებელ არხებზე უკვე განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტები.

ყურადღება გამახვილდა ანტიკრიზისული გეგმით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის, კერძოდ, მელიორაციის კუთხით გათვალისწინებული შეღავათების შესახებ, ადგილობრივების მაქსიმალური ინფორმირების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით:

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც 2020 წლამდე წარმოიქმნა, ფერმერებს სრულად ჩამოეწერებათ;

2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდება ყველა ის წყალმომხმარებელი, ვინც სარგებლობს ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებით 10 ჰექტარამდე მიწის ფართობზე, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს.

აღნიშნული მიმართულებით, თემატური, საინფორმაციო - სამუშაო შეხვედრების ჩატარება, შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა ჩართულობით, რეგიონის მუნიციპალიტეტებშიც იგეგმება.

საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია რწყვის სეზონის პარალელურად

30 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს რწყვის სეზონის პარალელურად უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაოების ფარგლებში: მოეწყო ახალი, მონოლითური რკინაბეტონის წყალგამანაწილებელი არხის 2500 მეტრიანი მონაკვეთი. ძველ (ამორტიზირებულ) ღარულ არხს ჩაუტარდება დემონტაჟი. ჩატარდა ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები, გაკეთდა წყალგამშვებები.

ამავე პროექტის ფარგლებში ეწყობა მეორე რიგის წყალგამანაწილებელი ახალი არხი სიგრძით 2 კმ.

დაგეგმილია წყალგამშვებების, სხვადასხვა ზომის სიღრმული და ზედაპირული ფარების მონტაჟი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, წყლის მიწოდება გაუმჯობესდება და რეგულარულად მოირწყვება 400 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით სოფელი სართიჭალისა და მუღანლოს მოსახლეობა ისარგებლებს.

პროექტის ღირებულებაა 1 775 000 მლნ ლარი.

სამელიორაციო ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი დავით წითლიძე გაეცნო.